

სატირულ-ირონიული სტილი მიხეილ ჯავახიშვილის რომანში "გივი შადური"

XX საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოს ზნეობრივი სივრცე თვისობრივად გაემიჯნა ძველს, უარი თქვა ტრადიციულ, ქრისტიანულ ზნეობრივ პრინციპებზე და ახლის დამკვიდრებას შეუდგა. ამ უკანასკნელმა "რევოლუციისაგან მოგვრილი სიკეთე" "უმალლეს ღირებულებად" (ა. ნიკოლეიშვილი, 2003, გვ. 305) გამოაცხადა და ძველს ზურგი შეაქცია. ახალმა ეპოქამ მრავალი სატიკვარ-საფიქრალი წამოჭრა, მაგრამ რამდენადაც არსებული პოლიტიკური ვითარება მასზედ ღია, აშკარა მსჯელობის საშუალებას არ იძლეოდა, მწერლები მიმართავდნენ პროტესტის სხვადასხვა ფორმებს და ამგვარად გამოხატავდნენ არსებული სინამდვილისადმი თავიანთ დამოკიდებულებას. ამ მხრივ საყურადღებოა მ. ჯავახიშვილის რომანი "გივი შადური," რომელშიც ავტორი მიმართავს სატირულ-ირონიული ხასიათის სენტენციურ შეგონებებს, ფილოსოფიურ-მედიტაციურ პრელუდიებს, ლირიკულ-სანტიმენტალურ მსჯელობებს და მათი მეშვეობით ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით გვთავაზობს საკუთარ მოსაზრებებს. ერთ-ერთი აქტუალური იმ პრობლემათაგან, რომელიც საბჭოთა ეპოქამ წამოჭრა, პოლიტიკურ მარწუხებში მოქცეული ქართული მწერლობის ბედი იყო.

დიდი მწერალი ვერაფრით ურიგდებოდა იმას, რომ, "წრფელი გული და სიმაართლე", რომელიც მას "მწერლობის უმთავრეს ღერძად" მიაჩნდა, ახალ ეპოქაში გაირყვნა და წაიბილწა, რწმენა ურწმუნოებამ შეცვალა, პოზიტიური ნეგატიურის მსხვერპლი გახდა, ამალღებული დაკნინდა და გაფერმკრთალდა. ხოლო სიმაართლეს მოკლებულ, სიყალბეზე დაფუძნებულ მწერლობას ქართველთა ინდივიდუალური, თვითმყოფადი ეროვნული სახის შესანარჩუნებლად ძალა აღარ ჰყოფნიდა.

დიდმა მწერალმა სამწერლობო დვაწლის განსაკუთრებულობის წარმოსაჩენად "გივი შადურში" მიმართა მათეს სახარებას და მისი მეხუთე და მეექვსე თავები, ავტორისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, "ოდნავ გადაკეთებული, სტილიზაციაქმნილი და მწერლობასა ზედა გამოჭრილი" მიაწოდა მკითხველს:

ნეტარ იყვნენ ტანჯულნი მხატვრული სიტყვისათვის, რამეთუ მათი არს გული ყოველთა მკითხველთა.

ნეტარ იყვნენ თქვენ, რაჟამს გყვედრიდნენ და გღვენიდნენ და სთქვან ყოველი სიტყვა ბოროტი ნათქვამსა თქვენსა მიმართ...

თქვენ ხართ ნათელი სოფლისა, მირონი სუფთა, სანთელი ზენაარისა გულთა შიგან ბნელისა განსაქრობლად მოვლინებული და ჰბრწყინევიდნენ ნათელი თქვენი წინაშე მკითხველთა, რათა იხილონ წიგნი თქვენი კეთილ ნათქვამნი და აღიდებენ ავტორთა მათთა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

...უკეთუ არა აღემატოს ნაწერი თქვენნი მედიდურსა მცირე სულოვანსა, ვერ შეხვიდეთ ისტორიისა სასუფეველსა შინა" (მ. ჯავახიშვილი, 1973, გვ. 227).

"...არა მგოსან ჰყლა, ხოლო რომელმა მოჰკლას, თანამდებ არს სასჯელისა და ისტორიისა შიგან საქედვისა...

...უკეთუ შესწირვიდე, შესაწირავსა ეპოქისა საკურთხეველსა ზედა და მისცემდე კვისარსა კვისრისას, ძმა შენიც აღარ იყოს გულძვირ შენთვის ...

არა იმრუშო სინდისსა შენსა წინაშე... (იქვე, გვ. 228).

მართალია, ჩვენ მიერ მოხმობილი ფრაგმენტები გივი შადურის სატირულ-ირონიული მსჯელობიდან ბიბლიური ცხრა ნეტარებისა და ათი მცნების ლიტერატურული ვარიაციაა, პაროდიაა, მაგრამ მისი ქვეტექსტი ქართული მწერლობის, ქართველი ერის სულისა და რწმენის გადარჩენის პათოსითაა გაუღენტოილი. მ. ჯავახიშვილის ამ "შეგონებებს", ჩვენი აზრით, ორმაგი დატვირთა ენიჭება: ერთი მხრივ, იგი აჩვენებს, თუ როგორ შემოისაზღვრა თავისი საბრძანებელი ახალმა ეპოქამ, გაემიჯნა ძველს და გაუუცხოვდა მას; ახალ თაობას ძველისა აღარ ესმოდა რა და აღარც ამ უკანასკნელს თავისი "პირშმოსი". სამწუხაროდ, უღმერთო და "ადამიანობას მოკლებული" (ლ. გოთუა) თაობისთვის გაუფასურდა ძველი სიწმინდეები; კერძოდ, ბიბლია აღარ წარმოადგენდა იმ წმინდა წიგნს, რომელსაც დიდი მოწიწებითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ ჩვენი წინაპრები. ბიბლიის ენა ამ თაობისთვის უცხო გახდა და მიუღებელი; მისი დამოწმება ან მასზედ დაფიცება აღარ წარმოადგენდა ადამიანის გულწფელობისა და მართალი სინდისის მტკიცებულებას. ახალი ეპოქა "ახალ ბიბლიას" ამკვიდრებდა და მას აკისრებდა მეგზურობას "კომუნისტური სამოთხისაკენ"; მეორე მხრივ, გივი შადურის "შეგონებების" სატირულ-ირონიული სტილის მიღმა, მწვავედაა გაკრიტიკებული იმდროინდელი ხელისუფლების მცდარი ლიტერატურული პოლიტიკა, რომელიც შიზნად ისახავდა მწერლობის "მოთვინიერებას" და "პოლიტიკაცენტრული" მაკულატურით მეორე ბაბილონის გოდოლის მშენებლობას. სწორედ ამ ხელისუფლებამ გამოაცხადა რელიგია "ხალხის ობიუმიდ" და მანვე გააჩაღა ეკლესიისა და კულტის მსახურთა მიმართ დაუნდობელი ბრძოლა, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ბიბლიის განქიქება და გაბიაბურება იყო. ამიტომ იხდის ბოდიშს გივი შადური წმინდა სიტყვების "წამოცდენისათვის": "ბოდიშს გიხდით მეგობრებო! ძველ კაცს მუდამ ძველი გადამკრავს ხოლმე, პირი ვერ დამიღია, რომ "ღმერთი", "ანგელოზი" და "კურთხევა" არ წამომცდეს" (მ. ჯავახიშვილი, 1973, გვ. 257). ქართველთა ლექსიკონში ბიბლიის მეშვეობით დამკვიდრებული ეს სიტყვები აფრთხობდა ახალი ხელისუფლების მესვეურთ, ამიტომაც ცდილობდნენ ხალხის ცნობიერებიდან ყოველი ღონისძიებით ამოეშალათ ისინი, ფსევდოიდეალებით შეეცვალათ ჭეშმარიტი იდეალები, რასაც მწერალი ვერაფრით ურიგდებოდა და მის გულისწყრომას იწვევდა.

ახალმა ეპოქამ, ძველისგან განსხვავებით, ისე დააკნინა ადამიანი, რომ იგი ღვთის ხატად კი არა, კუჭის მონად მოიაზრა, რომელსაც მხოლოდ ეკონომიკური ინტერესები ამოძრავებს. "ჩემს პირველსა და მეათე მცნებაში მუდამ ეს წერია: "გივი შადურო, სუფრაზე არ დაიგვიანო" და მეც ამ მცნებას ისე ვასრულებდი, როგორც წმინდანი აღთქმას" (იქვე, გვ. 256), - სიამაყით აცხადებს შადური. მართალია, დასახელებული ორი მცნებაც, ისე როგორც დანარჩენები, უფლის მცნებათა პაროდიაა, მაგრამ თუ გავიხსენებთ იმას, რომ გივი "ძველი კაცია", ხოლო ძველი თაობა ქართველებისა სუფრას მხოლოდ "პურობისთვის" კი არა, ქვეყნის საჭირობოროტო საკითხების მოსაგვარებლადაც იყენებდა, და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ასეთ სუფრებზე პირველი სადღეგრძელო უფლის სადიდებლით იწყებოდა და უკანასკნელი ყოველად წმინდათი სრულდებოდა, მაშინ ცხადი გახდება, რატომ მაინცდამაინც პირველსა და ბოლო მცნებაზე გააკეთა აქცენტი გივიმ.

რომანის მთავარი გმირის აზრით, ადამიანის ცხოვრების გზას შადლი და სიკეთე უნდა წარმარმავდეს. "შადლი", გივის აზრით, "შრომის ოფლის მოსაწმენდი პირსახოცია, ჭვრის საზიდავი ურემია... რბილი ნოხია, გოლგოთის გზაზე დაფენილი" (მ. ჭავჭავაძე, 1973, გვ. 205), მაგრამ, სამწუხაროდ, რომანის გმირს ეს პირსახოციც "დაეფხრიწა", ურემიც დაემსხვრა და ნოხიც გამოეცალა ფეხებიდან, თუმცა ეგოიზმის ტყვეობაში არ ჩავარდნილა. მას არ სურს სხვებმაც გაიმეორონ მისი შეცდომები. "სულიერად არ მოდუნდეთო, — ამიტომაც აფრთხილებს მათ და სიმხნევის, დაუმორჩილებლობისა და ქედუხრელობისკენ მოუწოდებს: გივიმ იცის, რომ ადამიანები კამეჩებივით ეწვევიან აღმართზე ლოდით დატვირთულ ურემს, მაგრამ ისიც უკან ეწვევა და ასე ეჭიდებიან ერთმანეთს "კუნთებდაჭიმულნი, ოფლში გაწურულნი და მუდამ დამაშვრალნი" (იქვე, გვ. 228). იმისდა მიუხედავად, რომ თავად გივის აღარ შერჩა საამისო ენერგია, მაინც მოძღვრავს ახალგაზრდებს: "ამირანებო, თქვენ იპირნათლეთ: იმ ურემ მიაწეკით, ოფლი დაღვარეთ და მთის თავზე აიტანეთ.

ნუ შედრკება თქვენი გული, ყარამანებო:

თუ ის ურემი დაგიგორდათ, თქვენც ხევში ჩასცვივდებით და ველარავინ ამოგიყვანთ.

ნუ შაჩვენებთ თქვენს მოტეხილ ხერხეშალს.

იგი ჭერ კიდევ ძლიერია და თუნდაც ურემს მოერევა. მაშ გასწიეთ, აიტანეთ, დაისვენეთ და ახალ ურემს შეუდექით!" (იქვე, გვ. 229).

ამ მოწოდების მიუხედავად კარგად იცის შადურმა, რომ შეუსვენებლივ, ერთი სულის მოთქმით ამ ურემის ამტანი ნაკლებად მოიძებნება და შეცდომებისგანაც არავინაა დაზღვეული, მაგრამ მთავარია რწმენა, ღვთის წყალობის იმედი: "მარტო ბრმა ვირი არ შეცდება ხოლმე, შეჩვეულ ბილიკს ერთი ნაბიჯითაც არ გადასცდება, ხოლო თვალხილული ადამიანი მუდამ ახალ გზას ეძებს და ამიტომ ხშირად ცდება ხოლმე. მაშ ნუ შეუშინდებით შეცდომას, თუ იგი საბედისწერო არ გამოდგა, ოღონდ დროზე შენიშნეთ, აღიარეთ და შეასწორეთ."

სრულიად ნათელია, რომ "ღვთის ხელის" ძეგლის, "ანგელოზის პოვნის" იდეას აყენებს ავტორი "გივი შადურში." მ. ჭავჭავაძის აზრით, არც ერთ ერს არ ძალუძს უანგელოზოდ ცხოვრება და განვითარება, არც ცალკე პიროვნებას, არც ეროვნებას, არც რომელიმე მის ნაწილს. ბუნებაში ცარიელი ადგილი არ არსებობს. ამიტომ ვინც (ერმა თუ პიროვნებამ) თავისი გულიდან ანგელოზი განდევნა ან დაჰკარგა, მან განთავისუფლებული ალაგიც ყიყვსა და ეშმაკს დაუთმო. ხოლო ვისაც მარტო ეშმაკი დარჩა, თვითონაც გაეშმაკდა - გონებითაც, სისხლითაც და სულითაც..." (იქვე, გვ. 61),-- წერს მ. ჭავჭავაძე. რაც, მისივე აზრით, "ბიოლოგიური მოდუნების, სულიერ-პოტენციალური გაბერწების" საფუძველია. ღმრთისგან განდგომილ საბჭოთა ხელისუფლებას კი სწორედ იქით მიჰყავდა ქართველი ერი. ამ სერიოზული საფრთხის დასაძლევად, მ. ჭავჭავაძე მწერლის მოვალეობად მიიჩნევს დაანახოს საზოგადოებას, რომ გზა ხსნისა რწმენაშია, რათა რეალურმა, ისტორიულმა ყოფითმა სინამდვილემ საბოლოოდ არ ჩაკლას ქართველში ღვთისკენ მიმართული მზერა. იმ ჯოჯოხეთს, რომელიც საბჭოთა ეპოქამ დაამკვიდრა, ის გაუძღებს და გადალახავს მხოლოდ, ვისაც ჭეშმარიტი რწმენა ექნება, რამეთუ სწორედ რწმენა არის მოქმედებისა და მოძრაობის საფუძველი, ერის "ბიოლოგიური უბერებლობის" გარანტი.

ლიტერატურა

- ა. ნიკოლეიშვილი, 2003 - ა. ნიკოლეიშვილი, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ნარკვევები, IV, ქუთაისი, 2003.
 მ. ჯავახიშვილი, 1973 - მ. ჯავახიშვილი, გივი შადური: თხზ., ტ. III, თბ., 1973.
 მ. ჯავახიშვილი, 1976 - მ. ჯავახიშვილი, წერილები: თხზ., ტ. VI, თბ., 1976.

MANANA CHICHINADZE

SATIRICAL-IRONICAL STYLE IN MIKHEIL JAVAKHISHVILI'S
NOVEL "GIVI SHADURI"

Mikheil Javakhishvili makes use of satirical-ironic style as the means of expressing his protests against the Soviet life and offers his thoughts and arguments through indirect ways - referring to maxims, wisdom phrases, and philosophical-meditation preludes, lyric and sentimental discussions.

Mikheil Javakhishvili is determined to show how the Soviet government humiliates and diminishes the role of real authors. For this purpose he offers to the reader altered variants of five and six chapters from Mathews, the literary variation of the Beatitudes and of the Ten Commandments in parody apparel but the deep structure of the text is imbued with pathos of surviving of the national spirit and faith. His maxims have double reading. On one hand he shows how the new epoch denied, and contradicted the old one obliterating and debasing old sacredness and values, where the Bible is not the book cherished and venerated by the ancestors, which is now substituted with the "new bible", which is being established by the force of arms; on the other hand the author provides severe critics of the Soviet government who tried to tame the authors and built a new tower of Babel with politicized texts fit only for pulp.